საგურამო-იალონის ქედის მთისწინების ლანდშაფტების კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების კარტოგრაფირება

გიორგი მაღლაკელიძე

ელ.ფოსტა: giorgi.maghlakelidze482@ens.tsu.edu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 0179, ი.ჭავჭავაძის #3

UNESCO - ს 1992 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის და ევროსაბჭოს 2000 წლის ლანდშაფტურ კონვენცია ,,ლანდშაფტისა'' და ,,კულტურული ლანდშაფტის'' ცნებას განიხილავს, ადამიანების მიერ აღქმულ არეალად", ,,ბუნებისა და ადამიანის ერთობლივ ქმნილებად''. ახლებურ მიდგომას მკვეთრად განსხვავებულს ტრადიციული მიდგომისაგნ, უკანასკნელ ხანს ბევრი მეცნიერი იზიერებს. აქედან, ლანდშაფტური კარტოგრაფირებისას შესამუშავებელია ახლებური მიდგომა.

ჩნდება კითხვა, ახლებური მიდგომისას რა განსხვავება იქნება ,,კულტურულ-ლანდშაფტურსა" და „ბუნებრივ-ლანდშაფტურ" ერთეულს შორის? ვფიქრობთ, კულტურული-ლანდშაფტური რუკის ლეგენდა უნდა ასახავდეს ლანდშაფტების ორგანიზაციას, როგორც პროცესს, ათვისების შედეგს და ტერიტორიის გააზრებას ამა თუ იმ კულტურის (კულტურების) მიერ, როგორც თანამედროვე, ისე მემკვიდრეობითი შტრიხების ჩართულობით. ამით იგი ედება ტერიტორიის ბუნებრივ ერთეულების დიფერენციაციას თუმცა არა მისი კოპირების გზით.

მოხსენებაში განხილულია აღნიშნული კონვენციების, პროფესორ ნ.ბერუჩაშვილის სკოლისა და გამოჩენილ მეცნიერთა გამოცდილების საფუძველზე კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების კართოგრაფირების თავისებურებები, საგურამო-იალონის ქედის მთისწინების ლანდშაფტებისათვის. ასევე, გაკეთებულია ჩვენს მიერ შედგენილი ახალი რუკის შედარებითი ანალიზი მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარის მიდამოების ძველ, ტრადიციულ საფუძველზე შედგენილ ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების რუკასთან.